

წინასიყუასობა

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველნო, მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით! უზენაესმა ალლაჰმა ნყალობა, ბარაჰა და მფარველობა არ მოგაკლოთ. უპირველეს ყოვლისა, უსაზღვრო ქება-დიდება სამყაროს გამჩენ უზენაეს ალლაჰს, რომ მოგვცა საშუალება კიდევ ერთხელ შევხვედროდით მიმდინარე წლის სამთვეულს და მადლის მოგებით გაგვეტარებინა ეს ძვირფასი პერიოდი. გვსურს მოგილოცოთ მადლმოსილებით აღსავსე სამთვეულის (რეჯები, შალბანი, რამადანი) მოახლოება, რომელიც 2023 წლის 23 იანვარს იწყება. გისურვებთ რწმენის სიმტკიცეს, სულიერ სიმშვიდეს, ჯანმრთელობას, გულწრფელობას, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების დამსახურებასა და უნაკლოდ ღვთისმსახურების შესრულებას.

კიდევ ერთი წელი გასულა, რაც ნიშნავს ჩვენს დაახლოებას სიკვდილთან და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას. ყოველი გასული დღე, საათი თუ წუთი, გვაახლოებს ამ ქვეყანასთან გამოსამშვიდობებელ დროს. ადამიანი, ვალდებულია იცოდეს თუ რისთვის გაჩნდა ამქვეყანაზე და რა მოვალეობა აკისრია გამჩენის, საზოგადოებისა და საკუთარი თავის წინაშე.

ადამიანი, როგორც მოგეხსენებათ, სხეულისა და სულისგან შედგება. იმისათვის, რომ ადამიანის სხეულმა ფიზიკურად არსებობა შეძლოს, საკვები ესაჭიროება, ხოლო სულიერ სამყაროს კი სულიერი საზრდო, ღვთისმსახურება სჭირდება.

სამთვეულის შემობრძანებით, პირველ რიგში, ჩვენ უნდა გავიძლიეროთ რწმენა და სულიერი სამყარო, ყურადღება მივაქციოთ ღვთისმსახურებას, გავილოთ მონყალება, მოვეფეროთ ობლებს, დავეხმაროთ გაჭირვებულ ადამიანებს, მოვიკითხოთ ნათესავები, ავადმყოფები და მათთვის ალლაჰს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი ხეირიანი სიცოცხლე შევსთხოვოთ, საჩუქრებით გავახაროთ ბავშვები და გავუმდიდროთ მათ სულიერი სამყარო, მივილოთ ერთმანეთისაგან დალოცვა, რამეთუ ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) ჰადისში ბრძანებს: „*მუსლიმი*

ძმისთვის დაუსწრებლად გაკეთებული ვედრება უფრო მიღებულია ალლაჰის წინაშე“. (მუსლიმ ზიჰირ 87-88 / იბნი მაჯჰე მენასიჟ 5)

როდესაც სამთვეული მოახლოვდება, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) ასე ევედრებოდა: „*უზენაესო ალლაჰო! დალოცვილ ჰქმენი ჩვენთვის რეჯებისა და შალბანის მთვარე და მოგვასწარი რამადანს“.* (მუსნედი ზევაიდ 2346, ტაბერანი ელ მუჯემულ ევსაჰ 3939)

სულისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზრდო რწმენა და ღვთისმსახურებაა. ალლაჰის მორწმუნე და მასზე მინდობილი ადამიანი მისგან იღებს სულიერ საზრდოსა და ძალას, ადამიანი მუდმივად საჭიროებს უზენაესი ალლაჰის დახმარებას. სწორედ უზენაესი ალლაჰის რწმენა და მასზე მინდობაა ბედნიერებისა და სიმშვიდის უშრეტეი წყარო.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „*რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰის ხსენებით იჯერეს გულნი მათნი. დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!*“ (სურა რადდი, აიათი 28)

რწმენა ადამიანს მარტოობისაგან იხსნის, რწმენა ჩვენი სულის საკვები და გულის სინათლეა. ურწმუნო ადამიანის სული საზრდოს გარეშეა დარჩენილი, ხოლო სიბნელეში ჩაძირული გული მოკლებულია უდიდეს საყრდენ ძალას. რწმენა ადამიანს ბოროტებისა და უსიამოვნებისაგან იცავს. ცხოვრებაში ადამიანს უამრავ სიძნელესთან უხდება ბრძოლა. ასეთ მომენტებში ალლაჰის მორწმუნე ადამიანები სასოწარკვეთილებაში არ ვარდებიან. ისინი უზენაეს ალლაჰს შეაფარებენ ხოლმე თავს, მას მინდობიან და უდიდესი მოთმინებით საბოლოო შედეგს დაელოდებიან. ძლიერ მფარველზე სიყვარულითა და პატივისცემით მინდობა კი ადამიანს უდიდეს ნეტარებას ჰგვრის.

უზენაესმა ალლაჰმა დაგლოცოთ, რწმენა გავიძლიეროთ და მოგვცეთ ღვთისმსახურების შესრულების ძალ-ლონე. უზენაესი ალლაჰი იყოს ყველგან და ყოველთვის ჩვენი შემწე და მფარველი.



წერაბ მიქელაძე

სამთვეული

ძვირფასო მორწმუნენო, მოგესალმებით მონყალე და მწყალობელი უზენაესი ალლაჰის სახელით! წინასწარ მოგილოცავთ სამთვეულს, რომელიც მიმდინარე წლის 23 იანვარს იწყება. უზენაესმა ალლაჰმა წყალობა, ბარაქა, სიყვარული და მფარველობა არ მოგაკლოთ. „სამთვეული“ მთვარისეული კალენდრის მიხედვით მეშვიდე, მერვე და მეცხრე თვეებია, რომლებიც რეჯების, შალბანის და რამადანის მთვარის სახელწოდებით არის ცნობილი ისლამში.

უზენაეს ალლაჰს უსაზღვრო ქება-დიდება, რომ კიდე ერთხელ მოგვცა საშუალება მიმდინარე წლის ამ ძვირფას სამთვეულს მოვსწრებოდით, მის წინაშე მორჩილებითა და მტკიცე რწმენით შეგვესრულებინა სავალდებულო და ნებაყოფილებითი ღვთისმსახურებები. სამთვეული, მორწმუნეებისთვის სულიერი ამალღების დროა, როდესაც მორწმუნეები სამთვეულთან შეხვედრის სიხარულსა და ბედნიერებას ერთმანეთს ულოცავენ, ცდილობენ უფრო მეტი ღვთისმსახურების შესრულებას და დახმარების ხელის განწდენას. მორწმუნეთათვის ყოველი დღე, ყოველი თვე და მთელი ცხოვრება ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებისათვისაა. ამასთანავე, ეს სამთვეული უფრო მეტი სულიერი ამალღების, პატიების, გულის გასუფთავების, ცოდვებისგან განწმენდის და სულიერი სამყაროს გაძლიერების საშუალებაა.

მონყალე და მწყალობელმა უზენაესმა ალლაჰმა თავის მსახურებს წყალობად წლის სხვა თვეებისგან განსხვავებით ძვირფასი თვეები უბოძა, სამთვეულის - რეჯების, შალბანის და რამადანის მთვარის სახით. სამთვეულში შესრულებულ ღვთისმსახურებას უფრო მეტი მადლიანობა და ფასი აქვს. ამასთან დაკავშირებით ჰადისში ვკითხულობთ, რომ დანარჩენ თვეებში, გაკეთებული ერთი სიკეთის სანაცვლოდ ათი მადლი იწერება, ხოლო სამთვეულის პერიოდში კი გაცილებით უფრო მეტი. გაკეთებული სიკეთის თუ სიავის სამაგიერო საზღაურს ადამიანი აუცილებლად მოიმკის, ამასთან დაკავშირებით სურა ზილზალის მე 7-8 აიათში უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს: **„და ის ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს სიკეთედ“.** **„და ისიც, ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)!“**

ზემოთ მოცემული აიათებიდან გამომდინარე, არც ერთი ქმედება, სიკეთე თუ სიავე ამაოდ არ რჩება და ალლაჰის წინაშე ადამიანი მას სიკეთედ ან სიავედ აუცილებლად მიიღებს. ამიტომ ადამიანმა უნდა ეცადოს, ასევე ვალდებულიცაა, რომ ყოველთვის სიკეთე აკეთოს, უკეთურებას წინ აღუდგეს და იყოს საზოგადოებისთვის სასარგებლო პიროვნება.



სამთვეული ის დროა, რომელიც წელიწადში ერთხელ მოდის, როდესაც ყველა მუსლიმ მორწმუნეს შეუძლია ცოტა ქმედებით ბევრი მადლიანობის დამსახურება. ასევე სამთვეული ის პერიოდია, როდესაც მორწმუნემ სრული სულიერი დატვირთვით უნდა გამოიყენოს ეს დრო, რათა გადადგას სამოთხისაკენ დამაახლოებელი ნაბიჯები. როდესაც სამთვეული მოახლოვდებოდა ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) ასეთ ვედრებას აკეთებდა: *„უზენაესო ალლაჰო! დალოცვილ ჰქმენი ჩვენთვის რეჯებისა და შალბანის მთვარე და მოგვასწარი რამადანს“*.

სამთვეულის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ჰადისში ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) შემდეგნაირად გვამცნობს: *„რეჯები ალლაჰის, შალბანი ჩემი, ხოლო რამადანი მორწმუნეების მთვარეა“*.

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) მუსლიმებს რამადანის მთვარეში სავალდებულო მარხვასთან ერთად რეჯებისა და შალბანის მთვარეში მარხვას ურჩევდა და ახალისებდა. როგორც გადმოცემებიდან ირკვევა ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) გარდა რამადანის მთვარისა, ყველაზე მეტს რეჯებისა და შალბანის მთვარეში მარხულობდა. ზოგადად კი, ყველა ორშაბათ და ხუთშაბათ დღეებში მარხულობდა.

მართლმორწმუნეთა დედა ძვირფასი აიშა ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი გადმოგვცემს: *„ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) რამადანის გარდა სხვა არც ერთ მთვარეში არ მარხულობდა იმაზე მეტს ვიდრე შალბანის მთვარეში. ასევე შუამავალი (ს.ა.ვ) ამბობდა: „იმდენი ღვთისმსახურება გააკეთეთ, რამდენის ძალაც შეგნვეთ. ვინაიდან უზენაესი ალლაჰის წინაშე ის ღვთისმსახურებაა მისაღები, რომელიც ცოტაა, მაგრამ სისტემატიურად ყოველთვის სრულდება“*.

სამთვეულის შემობრძანებით პირველ რიგში ჩვენ უნდა გავიძლიეროთ რწმენა და სულიერი სამყარო, უნდა ვეცადოთ მეტი მონყალების გაღებას, დავეხმაროთ გაჭირვებულ ადამიანებს, კარგია ნათესავეებისა და ავადმყოფების მონახულება, მათთვის ალლაჰს ჯანმრთელობა და ხეირიანი სიცოცხლე შევთხოვოთ. ოჯახის წევრებთან უნდა ვისაუბროთ სამთვეულის მადლიანობისა და სიძვირფასის შესახებ, ისინიც შევახალისოთ ღვთისმსახურების შესრულებაზე

და ამგვარად ოჯახებში სამთვეულის სულიერი ატმოსფეროს შექმნას შევეცადოთ. ასევე არ უნდა დაგვავინწყდეს ჩვენი პატარები და ისინი საჩუქრებით გავახაროთ და მათ შევაცვაროთ ეს სულიერი ატმოსფერო. მივიღოთ ერთმანეთისაგან დალოცვა, რამეთუ ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) ბრძანებს: *„მუსლიმი ძმისთვის დაუსწრებლად გაკეთებული ვედრება უფრო მიღებულია ალლაჰის წინაშე“*. გავიხსენოთ კიდე ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ვ) სხვა ჰადისები სადაც ამბობს: *„თუ მუსლიმ ადამიანს არანაირი საშუალება არ აქვს გასაცემად, სულიერ ძმაზე გაღიშებაც კი მონყალებაა“*, *„მუსლიმი მუსლიმის ძმაა.“* ასევე კიდე ერთ-ერთ ჰადისში ასე ბრძანებს: *„თქვენგან ჭეშმარიტი მორწმუნე ვერ იქნება, ის ვინც საკუთარი თავისთვის რასაც ისურვებს, იმასვე თუ სულიერ ძმას არ უსურვებს“*.

ზემოთ მოცემული ჰადისებიდან ჩანს თუ როდენი მოვალეობები გავაჩნია ერთმანეთის წინაშე და როგორი დამოკიდებულებით უნდა ვიყოთ ერთმანეთთან, რომ სრულყოფილ მორწმუნედ მიღებული ვიქმნეთ ალლაჰის წინაშე. ეს სამთვეული, ზუსტად ის დრო და საშუალებაა ჩვენთვის, რომ ერთმანეთთან, ჩვენს სულიერ ძმებთან ის ურთიერთობები ჩამოვაყალიბოთ და მოვალეობები შევასრულოთ, რასაც უზენაესი ალლაჰი გვავალდებს და შუამავალი (ს.ა.ვ) მოგვინოდეებს. ერთმანეთის მიმართ პატივისცემისა და სიყვარულის ვალდებულება გვაკისრია. მორწმუნეებს შორის სიყვარულს როგორი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამას შუამავალი (ს.ა.ვ) ჰადისში ასე ბრძანებს: *„სამოთხეში ვერ შეხვალთ თუ არ ირწმუნებთ, ჭეშმარიტ მორწმუნედ არ ჩაითვლებით თუ ერთმანეთს არ შეიყვარებთ.“* სამთვეულის პირველი ორი თვე, რეჯები და შალბანი რამადანთან შეხვედრისათვის სულიერად და ფიზიკურად მოსამზადებელი პერიოდია, როდესაც მორწმუნე ცდილობს ათას თვეზე უფრო ხეირიანი ღამის მატარებელ რამადანის თვეს მომზადებული შეხვდეს. უზენაესმა ალლაჰმა დაგლოცოთ, რწმენის სიმტკიცე და ღვთისმსახურების შესრულების ძალ-ღონე მოგცეთ. უზენაესი ალლაჰი იყოს ყველგან და ყოველთვის ჩვენი შემწე და მფარველი.





მშობლების დაფასება

ალამ შანთაძე

საქართველოს მუფთი

მშობლები ის ადამიანები არიან, ვისი მეშვეობითაც თითოეული ჩვენგანი ამქვეყნად მოვევლინა. ამიტომ მათ მიმართ უაღრესად დიდი დაფასება და პატივისცემა გვმართებს. ყურანის ძალიან ბევრი აიათი და შაუამავლის ჰადისები მშობლების მიმართ პატივისცემისა და მზრუნველობისკენ მოგვინოვებს. ამქვეყნიური ჩვენი ბედნიერება, ანუ სამოთხეში მოხვედრა, ამქვეყნად ჩვენს მიერ მშობლების მიმართ დაფასებასა და მზრუნველობაზეა დამოკიდებული. შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: „მშობლები ერთ -ერთი მთავარი კარიბჭეა, რომელიც ადამიანს სამოთხეში შესვლის შესაძლებლობას მისცემს. მაშ, შენზეა დამოკიდებული, დაკარგო ან ისარგებლო ამ კარიდან შესვლის შესაძლებლობით!“ (თირმიზი, ბირრი, 3): „ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება დამოკიდებულია დედ-

მამის კმაყოფილების მოპოვებაზე. ხოლო ღვთის რისხვა - მშობლების უკმაყოფილებაზე“. (თირმიზი, ბირრი, 3)

ერთი ადამიანი შუამავალთან (ს.ა.ს.) მივიდა და ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო (ს.ა.ს.), ვინ არის ყველაზე მეტი კეთილმოპყრობის ღირსი?“ შუამავალმა (ს.ა.ს.) უპასუხა: „მშობელი დედა!“ ისევ იკითხა: „და შემდეგ ვინ?“ შუამავალმა (ს.ა.ს.) ისევ მიუგო: „მშობელი დედა!“ ამ ადამიანმა მესამედ იკითხა, თუ შემდეგ ვინ იმსახურებდა კეთილმოპყრობას. შუამავალმა (ს.ა.ს.) ისევ უპასუხა: „მშობელი დედა!“ ეს კაცი ისევ არ მოეშვა შუამავალს (ს.ა.ს.) და უფრო მეტად ჩაეძია: „და შემდეგ ვინ?“ შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: „შემდეგ მამა!“ (ბუხარი, ედები, 2)

ერთ-ერთი თანამიმდევარი, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ალლაჰის შუამავალთან (ს.ა.ს.) მედინაში ჩავიდა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, დედ-მამა მტირალი დავტოვე და შენთან მოვედი“. ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) მისი ასეთი საქციელი არ მოიწონა და უთხრა: „დაბრუნდი მათთან და ორივე ისევე გააცინე, როგორც აატირე!“ (ეზუ დაჟუდი, ჯიჰადი, 31; ნესაი, ბიათი, 10) შემდეგ გააგრძელა: „უკან დაბრუნდი და დედისგან და მამისგან ნება ითხოვე! თუკი ნება დაგროთეს, მაშინ ბრძოლას შეუერთდი, თუ არა და მათ კეთილად მოექეცი!“ (ეზუ დაჟუდი, ჯიჰადი, 31) ხოლო, როცა ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს.) ჰკითხა, თუ რა იყო ქმედებაში ალლაჰის წინაშე ყველაზე უმაღლესი, ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ასე უპასუხა: „სავალდებულო ლოცვის დროულად შესრულება და დედ-მამისადმი სიკეთე, შემდეგ კი ალლაჰის გზაზე ბრძოლა“. (ბუხარი, თევზიდი, 48; მუს-ლიმი, იმანი, 139)

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) თანამიმდევრებს ჰკითხა: „განა არ გინდათ, გამცნოთ დიდი ცოდვების შესახებ?“ მათმა უპასუხეს: „რა თქმა უნდა, ალლაჰის შუამავალო!“ შემდეგ შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: „ალლაჰზე მოზიარის დადგენა, დედ-მამისადმი ურჩობა და მათი წვალება“. (ბუხარი, ედები, 6; თირმიზი, შეჰადეთი, 2)

ყურანში არსებული აიათი, რომელიც მოხუცებულობის ჟამს მყოფი მშობლების მიმართ სიტყვა „უჰ“ წარმოთქმას კრძალავს (ისრა, 17/23). ხშირ შემთხვევაში, ისეთი განმარტებით გვხვდება, რომ მიუხედავად ასაკისა, მშობლების წინააღმდეგ წასვლა აკრძალულია. მაგრამ, ამასთან ერთად, უზენაესი ალლაჰი ყურანში იმასაც გადმოგვცემს, რომ მშობლების მიერ არასწორ დარიგებას, არ უნდა დავემორჩილოთ: "და თუ ისინი შენს წინააღმდეგ იბრძოლებენ, რომ თანაზიარად გამიხადო ის, რისი ცოდნაც არ გაგაჩნია, არ დაემორჩილო მათ!" (ანკებუთი, 29/8; ლუყმანი, 31/15)



აქედან გამომდინარე, იმ დედაზე და-მორჩილება დაუშვებელია, რომელიც თავის შვილს აძალეებს, რომ იმ ნათესავთან განწყვიტოს ურთიერთობა, ვისზეც განაწყენებულია და ამის გამო, შვილს "რძეს ალალს" არ უხდის. ან იმ მამაზე დამორჩილება დაუშვებელი, რომელიც იმის გამო, რომ შვილი ვაჭრობაში, მამის გადანყვეტილების მიხედვით თალლითურ გზას არ ირჩევს, შვილს "მამის უფლებას" ჰპარამად უდგენს. აქედან გამომდინარე, ორივე მხარე ვალდებულია, ალლაჰს ეთაყვანოს და ურთიერთობაც ალლაჰის კმაყოფილებისთვის დაამყაროს. უზენაესი ალლაჰი აიათში ბრძანებს: "ჰვი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ გაიხადოთ თქვენი მამები და არც თქვენი ძმები მეგობრებად, თუ მათ ურწმუნოება ურჩევნიათ რწმენას. და რომელი თქვენგანიც მეგობრად დაიდგენს მათ, სწორედ, რომ ისინი არიან უსამართლონი" (თევბე, 9/23; მუჯადელე, 58/22) და "და არ არის შუამავლისთვის და მათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ შენდობა ითხოვონ წარმართათვის, თუნდაც ახლო ნათესავები იყვნენ, მას შემდეგ, რაც ასკარა გახდა მათთვის, რომ ჯოჯოხეთის მკვიდრნი არიან ეგენი". (თევბე, 9/113)

აქედან გამომდინარე, დედ-მამაზე სიკეთის მოწოდება და ბოროტებისგან დაცვა, შვილის მოვალეობაა. მათ შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა და სტატუსი, ამ

მოვალეობის შესრულებისთვის წინააღმდეგობას არ წარმოადგენს. ამ საკითხის საუკეთესო მაგალითი კი, ჩვენი წინაპარი შუამავალი იბრაჰიმი (ჰაჯი, 22/78) (რ.ა.), რომელიც უწყინრად და უხეშობის გარეშე, თავის მამას ჭეშმარიტებისკენ იხმობდა, (ენ'ამ, 6/74; ენბია, 21/52) მაგრამ მამის უხეში საქციელის გამო, იძულებული გახდა განდგომოდა. (თევბე, 9/114)

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „ახალგაზრდა, რომელიც მოხუცს პატივს დადებს იმისთვის, რომ ის ხანდაზმულია, ალლაჰი მას ხანდაზმულობის ასაკში მიუჩენს ადამიანს, რომელიც მას პატივს დადებს.“ (თირმიზი, ბირრი, 75) შვილს არ აქვს იმის უფლება, თუ მისი დედ-მამა პატარაობისას მას ცუდად მოექცა, ახლა თვითონაც ცუდად მოექცეს თავის მშობლებს და მათ მიმართ პატივისცემა არ გამოხატოს. ამ თემასთან დაკავშირებით, რჩევა-დარიგება ძალიან მნიშვნელოვანია: „არ დაემსგავსოთ იმ ადამიანებს, რომლებიც შემდეგნაირად გაიძახიან: ადამიანების მიხედვით მოვიქცევით! კეთილად თუ მოიქცევიან, ჩვენც კეთილად მოვექცევით. მაგრამ თუ ტანჯვა-წამებას მიმართავენ, ჩვენც ტანჯვა-წამებით ვუპასუხებთ.“ (თირმიზი, ბირრი, 63) ადამიანს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ბავშვობას მშობლობა მოჰყვება, ისევე, როგორც დედ-მამას ახსოვს, თუ როგორი ბავშვები იყვნენ.

არავის არ აქვს იმის უფლება, რომ შვილი სხვაზე გაცვალოს, ან დედ-მამაზე უარი თქვას. როგორც ჰადისშია აღნიშნული, მსგავსი მცდელობის მქონე ადამიანებისთვის სამოთხე ჰარამად დადგინდა: „სამოთხე ჰარამად დადგინდა მისთვის, ვინც თავისი ნამდვილი მამის ნაცვლად, სხვა მამად

დაიდგინა“. (ბუხარი, ფერაიზი, 29; მუსლიმი, იმანი, 113; მუსლიმი, იმანი, 114) სიცოცხლის პერიოდში, მშობლებთან ერთად ლხინსა და ჭირში მცხოვრები ადამიანი, მათი გარდაცვალების შემდეგ ეცდება, რომ ისინი თავის მახსოვრობაში აცოცხლოს. დედ-მამასა და შვილს შორის არსებული ეს უსასრულო კავშირი, ცხოვრების არსზე აისახება. ზოგიერთი ადამიანი, საკუთარი შვილების არსებობით, თავის ცხოვრებას აზრს შესძენს. ისინი შვილებს ისეთ ყურადღებას აქცევენ, რომ თითქმის საკუთარი თავი ავინწყებთ. ქონებისა და შვილების შესახებ საუბრისას ამაცობენ. (მერიემი, 19/77; ჰადიდი, 57/20; ყალემი, 68/14) მათ, როგორც ძალასა და ქონებას, ისე აღიქვამენ. მეორე მხრივ კი, ზოგიერთი ადამიანი, დედ-მამის არსებობით, თავის ცხოვრებას აზრს შესძენს. გადანწყვეტილებებს, ოცნებებს და გეგმებს დედ-მამასთან შეათანხმებს და შემდეგ მოქმედებაში მოიყვანს. თავის გაცნობას მათი სახელით იწყებს. მათზე ნდობით არიან აღჭურვილი და ცხოვრებას ისე ებრძვიან. (მაიდე, 5/104; ლუყმანი, 31/21)

ბავშვის ოჯახში შესვლის შემდეგ, უდავოდ, მშობლები უკვე იღებენ იმ პასუხისმგებლობას, დააკმაყოფილონ თავიანთი შვილების მოთხოვნილებები ჩვილობის, ბავშვობის და მოზარდობის პერიოდში, როდესაც მათ დახმარების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის როლი ოჯახში დღითიდღე იზრდება, მისი უფლებები უფრო დიდია, ვიდრე პასუხისმგებლობა. ხოლო, როცა ბავშვი ზრდასრული ან მშობელი გახდება, რა თქმა უნდა, თავისი შვილების მიმართ პასუხისმგებლობასთან ერთად, ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობაც უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს. როცა სიცოცხ-



ლის ბოლო პერიოდში, მშობლების მიერ ბავშვების მიმართ პასუხისმგებლობისა და მზრუნველობის დღეები შემცირდება, რა თქმა უნდა, მშობლებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა ბავშვისთვის იზრდება. ერთი შეხედვით, დედ-მამა იმის მომკას იწყებს, რაც დათესა და უფრო მეტი ლმობიერების სურვილი უჩნდება. ხოლო ამ შემთხვევაში, უფრო მეტი ლმობიერების სურვილის მქონე ორი მოხუცი გულის დაკმაყოფილებისთვის, შვილის მოვალეობა დღითიდღე იზრდება. ამასთან ერთად, პასუხისმგებლობით აღჭურვილ პირს, ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) წყევლისგან თავი შორს დაჭერაც უნევს: "მაშ, იხოხოს სახით მინაზე იმან, ვინც თავის მოხუც მშობლებთან ან ერთ-ერთ მათგანთან მანამ ცხოვრობს, ვიდრე ისინი მოხუცდებიან და ის სამოთხეში შესვლას ვერ დაიმსახურებს". (მუსლიმი, ბირრი, 9; თირმიზი, დეავათი, 100)

მშობლებისთვის, შვილების ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით ცვალებადი პასუხისმგებლობა, სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება, მაგრამ ხანში შესვლისას, დედ-მამის უზრუნველყოფა შვილს ეკისრება. ამ მიზეზის გამო, უზენაესი ალლაჰი აიათში ბრძანებს: **„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი! და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და**

თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეინყაღე ესენი!" (ისრა, 17/23-24)

ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) თავის თანამიმდევრებს, სამი ახალგაზრდის შესახებ ერთი ამბავი უამბო თუ როგორ აღებს ქვით დახშული გამოქვაბულის შესასვლელს დედ-მამის მიმართ ჩადენილი კეთილი ქმედება: ერთ დღეს სამი პიროვნება მთაში



სეირნობდა, უცებ ძლიერი წვიმა წამოვიდა და მათ თავი ერთ-ერთ გამოქვაბულს შეაფარეს. ამ დროს მთიდან მოწყვეტილი ლოდი გამოქვაბულის შესასვლელს გადაეფარა და სამივე შიგ გამოკეტა. უეჭველად, ჩვენ ვერაფერი

გვიხსნის ამ ლოდისგან, გარდა ჩვენს მიერ აღსრულებული კეთილი საქმეებით ალლაჰისადმი ვედრება. ერთ-ერთმა მათგანმა დაიწყო მოყოლა: "ღმერთო ჩემო! მე მოხუცი მშობლები მყავდა და მათ ყოველთვის ჩემს შვილებსა და მონებზე ადრე ვაჭმევდი და ვასმევდი. ერთხელ საქონლის საკვების მოსაპოვებლად გავედი სახლიდან და მათ დაძინებამდე ვერ დავბრუნდი. როდესაც რძე ჩამოვწველე, დავასხი და მშობლებს შევეუტანე, ვნახე, რომ ეძინათ. მათი შენუხება ვერ შევძელი და არასწორად ჩავთვალე, რომ მათზე ადრე ჩემი შვილებისთვის ან მონებისთვის მიმეცა რძე. ბავშვები ჩემს ფეხებთან შიმშილისგან ტიროდნენ, მაგრამ მე ჯამით ხელში მშობლების გაღვიძებას დაველოდე. როდესაც გაიღვიძეს რძე დალიეს. ღმერთო ჩემო! თუკი ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ შენი კმაყოფილება მომეპო-



وَقَضَىٰ رَبُّكَ أَلَّا تَعْبُدُوا إِلَّا إِيَّاهُ وَبِالْوَالِدَيْنِ إِحْسَانًا



ვებია. მაშ, გადაგვარჩინე იმ განსაცდელს, რაც ამ ლოდის გამო შეგვექმნა გამოქვაბულში." ლოდი ოდნავ გადაინია, მაგრამ არა იმდენად, რომ გასვლა შესაძლებელი გამხდარიყო. მეორე კაცმა თქვა: "ღმერთო ჩემო! მე ერთი ქალი ძალიან მიყვარდა და მოვისურვე ვნება აღმესრულებინა მასთან, მაგრამ მან უარმყო. შიმშილობის წელიწადს, დიდ გაჭირვებაში მყოფი ჩემთან მოვიდა. მე მას 120 დინარი მივეცი იმ პირობით, რომ დამნებდებოდა. ის დამთანხმდა და როდესაც უნდა დავუფლებოდი მან მითხრა, გეშინოდეს ღმერთის, ნუ დამეუფლები უკანონოდ. მე მას მოვშორდი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უფრო ვნებიანად მიყვარდა. ფულიც გავატანე. ღმერთო ჩემო! თუკი ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ შენი კმაყოფილება მომეპოვებია. მაშ, გადაგვარჩინო იმ განსაცდელს, რაც ამ ლოდის გამო შეგვექმნა გამოქვაბულში". ლოდი კიდევ ოდნავ გადაინია, მაგრამ გამოსვლა მაინც შეუძლებელი იყო. მესამემ კი თქვა: "ღმერთო ჩემო! ერთხელ მუშები დავიქირავე. შემდეგ გასამრჯელო ყველას გადავუხადე, მაგრამ ერთ-ერთი ისე ნავიდა, რომ თავისი წილი არ ნაუღია. მისი ფული საქმეში ჩავდე. ბიზნესი წარმატებული აღმოჩნდა და გაფართოვდა. დიდი ხნის შემდეგ ის კაცი ჩემთან მოვიდა და მითხრა: „ო, ალლაჰის მსახურო! მომეცი ჩემი წილი." მე კი ვუპასუხე: "ყველაფერი რასაც ხედავ შენია, აქლემები, მსხვილფეხა საქონელი, ცხვრები და მონები". მან

მითხრა: "ო, ალლაჰის მსახურო! ნუ გამცინი". მე დავარწმუნე, რომ არ ვხუმრობდი, მანაც წაიმძღვარა თავისი საქონელი და ნავიდა. ღმერთო ჩემო! თუკი ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ შენი კმაყოფილება მომეპოვებია. მაშ, გადაგვარჩინო იმ განსაცდელს, რაც ამ ლოდის გამო შეგვექმნა გამოქვაბულში." ლოდი გადაინია და გარეთ გამოვიდნენ. (ბუხარი, ბუიუ'ი, 98; მუსლიმი, რიყაყი, 100)

როცა ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) მშობლის მიერ ბავშვის მიმართ განეულ ჯაფაზე გვესაუბრება, ასე ბრძანებს: "ვერცერთი შვილი ვერ მოიხდის მშობლის მიერ განეულ ამავს. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ამას, თუ მას მონობისას იპოვის, გამოიწყიდის და გაანთავისუფლებს". (მუსლიმი, 'ითყი, 25; თირმიზი, ბირრი, 8) არ უნდა დავავიწყდეს ისიც, რომ სიბერეს მიღწეულ პიროვნებებს ბავშვივით სითბო და ყურადღება ესაჭიროებათ.

ადამიანის უპირველესი სამყოფი დედის კალთაა. უზენაესმა ალლაჰმა იმისთვის, რომ დედის წყალობასა და სიყვარულს მოკლებული არ ყოფილიყო, ფარაონის სასახლეში აღზრდილი ძვირფასი მუსა (ა.ს.) კი დედას შეახვედრა. (ყასასი, 28/7) დედა, ჩვენი საყვარელი შუამავლის (ს.ა.ს.) სიტყვებით, „არის ის ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს კარგად მოპყრობას". (ბუხარი, ედები, 2; მუსლიმი, ბირრი, 1) ასევე ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) აცხადებს, რომ დედას არავინ უნდა შეუშალოს ხელი შვილთან ურთიერთობაში, თუნდაც ის სხვა მრწამსის იყოს, შვილმა ის მაინც უნდა შეაფასოს და პატივი მიაგოს. (ბუხარი, ედები, 7; მუსლიმი, ზეჟათი, 50) ხოლო იმ დედის წინაშე, რომელიც სიკეთეს და ჭეშმარიტებას უქადის, მისდამი უპატივცემულობასა და ურჩობას სასტიკად კრძალავს. (ბუხარი, რიყაყი, 22; ბუხარი, ი'თისამი, 3) და გვახსენებს იმას, რომ სამოთხე დედასთან ერთი ნაბიჯის მანძილზეა. (ნესაი, ჯიჰადი, 6)

მეორეს მხრივ, ბავშვისთვის მამა არის მაგალითი და საყრდენი ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად. მას შუამავალი ახასიათებს, როგორც საზრდო-სანოვაცეს, შემომტანს ოჯახში (ბუხარი, იმანი, 41; მუსლიმი, ზეჟათი, 48) და მოიხსენიებს ოჯახის ფარად (ებუ დავუდი, სუნნეთი, 28-29; ნესაი, მუჰარეზე, 23) ყველა სახის უარყოფითი გავლენისთვის.

როცა გამჩენი ალლაჰი შვილის მიერ შესასრულებელ სიკეთეებზე საუბრობს, აღნიშნავს,

რომ ყოველგვარი სიკეთე მის წინაშე მიღებული იქნება და გვიბრძანებს, რომ მშობლების მიმართ სიტყვა "უჰ" არ უნდა წარმოვთქვათ. ასევე გვირჩევს სიტყვიერი (ისრა, 17/23-24) და მატერიალური დახ-



მარების მსგავსი ქმედებით (ბაყარა, 2/180; ნისა, 4/36) სიკეთის გაკეთებას. მაშასადამე, უზენაესი ალლაჰის მიერ, ამ თემასთან დაკავშირებით, ბრძანების შესრულებისთვის, უამრავი შესაძლებლობა და სახეობა არსებობს, საკმარისია შვილმა მოინდომოს. უფრო მეტიც, დედ-მამისთვის სიკეთის ქმნა მათი სიცოცხლით არ განისაზღვრება. მშობლების მიმართ მზრუნველ შვილს, შეუძლია მათი გარდაცვალების შემდეგაც მონყალების გაღება, (მუსლიმი, ვასიეთი, 12) დადებული პირობის შესრულება, (ბუხარი, ვესაია, 19) ვედრების აღავლენა, შენდობის თხოვნა (ებუ დავუდი, ედები, 119-120) და ჰაჯობისა და უმრეს შესრულება. (ებუ დავუდი, მენასიქი, 25) სასარგებლო შვილის დედ-მამა, გარდაცვალების შემდეგ იმ ადამიანების რიგებში აღმოჩნდება, რომლებსაც "ამელ-დეფთერი" ანუ ნამოქმედართა წიგნი არ ეხურე-

ბათ. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ამის შესახებ ასეთ სამახარობლოს გადმოგვცემს: "როცა ადამიანი გარდაიცვლება, ყველა ქმედება დასრულდება, გარდა სამისა: სადაყა-ი ჯარიე (უსაზღვრო სარგებლის მქონე მონყალება), მისგან დატოვებული სასარგებლო ცოდნა და შვილი, რომელიც მისთვის ვედრებას აღავლენს". (მუსლიმი, ვასიეთი, 14)

იმ შვილებს, რომლებსაც მამის ნაკვალევზე ერთგულად დარჩენა სურთ, ამისთვის

ძვირფასი ომერის (რ.ა.) შვილი აბდულლაჰი საუკეთესო მაგალითია. მან ბედუნს, რომელიც მექას მიმავალ გზაზე გადაეყარა, მიესალმა, თავის აქლემზე შესვა და ჩალმა აჩუქა. მის გვერდით მყოფებს მისი

მოკრძალებული ქცევა გაუკვირდათ და აღნიშნეს, რომ ეს ბედუნი მცირე ყურადღებითაც კმაყოფილი დარჩებოდა. მაგრამ აბდულლაჰმა ასე მიუგო: „ამ პიროვნების მამა, მამაჩემის ახლო მეგობარი გახლდათ“. რა თქმა უნდა, ძვირფასი აბდულლაჰ ბ. ომერის (რ.ა.) ეს ქცევა, ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) მიერ წარმოთქმული სიტყვების დამსახურებაა: „ქმედებათა შორის საუკეთესო, შვილის მიერ მამის მეგობრების მონახულებაა“. (მუსლიმი, ბირრი, 11)

უზენაესმა ალლაჰმა პირნათლად შეგვასრულებინოს ჩვენი მოვალეობები მშობლების წინაშე და მათი კმაყოფილება მოგვაპოვებინოს: "ღმერთო ჩვენო, მომიტყევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა ანგარიშსწორების დრო დადგება!" (იბრაჰიმი, 14/41)



სურა - ია სინი/36

დანიელ ბოლქვაძე

გაგრძელება წინა ნომრიდან...

۳۳. وَأَيَّةٌ لَهُمُ الْأَرْضُ الْمَيْتَةُ أَحْيَيْنَاهَا وَأَخْرَجْنَا مِنْهَا حَبًّا
فَمِنْهُ يَأْكُلُونَ

და სასწაულია მათთვის მკვდარი მიწა. ჩვენ მას გააცოცხლებთ და მისგან აღმოვაცვენებთ მარცვალს, რომელსაც მიირთმევენ!

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს, რომ ურწმუნოებს ჭკუა რომ გამოეყენებინათ ისედაც მიხედობდნენ, თუ ისინი კარგად დააკვირდებოდნენ, დედის მუცელში ბავშვი როგორ იკვებება? როცა იბადება დედის მკერდზე ორი კარი იხსნება მისთვის, როცა 2-3 წლის შემდეგ ეს კარებიც იკეტება, მათთვის იხსნება სამყაროს კარები. რასაც ვხედავთ ირგვლივ, ყველაფერი ალლაჰმა ჩვენთვის გააჩინა.

უდიდესი ალლაჰის მიერ ნაჩვენებია მაგალითებით უნდა ვიგებდეთ, რომ ახალ გაზაფხულზე მკვდარი მიწა ცოცხლდება და მასზე ეფინება მცენარეთა უამრავი სახეობა, ეს ალლაჰის ძლიერების გამოვლინებაა. როცა ვსაუბრობთ სუსხიანი ზამთრის შემდეგ გაზაფხულის მოსვლა-

ზე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება არსებობს და ეს გამჩენისთვის შეუძლებელი არაა. არ უნდა დავივიწყოთ, არა მარტო გაცოცხლება, არამედ ანგარიშნორების არსებობაც და ამის მიხედვით დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება.

34-35.

وَجَعَلْنَا فِيهَا جَنَّاتٍ مِنْ نَخِيلٍ وَأَعْنَابٍ وَفَجَّرْنَا فِيهَا مِنَ الْعُيُونِ ﴿٣٤﴾ لِيَأْكُلُوا مِنْ ثَمَرِهِ وَمَا عَمِلَتْهُ أَيْدِيهِمْ أَفَلَا يَشْكُرُونَ

და დავადგინეთ იქ ბაღები ხურმისა და ვაზის და აღმოვაფრქვიეთ მისგან წყაროები!

რათა მიირთვან ნაყოფი მისი, და არ უქმნიათ თავიანთი ხელებით. ნუთუ არღა იქნებიან მაღლიერნი?!

არ დაგვავიწყდეს გამჩენის მიერ ბოძებული სიმდიდრეები და შევძლოთ მათი დანახვა, არსებობს ალლაჰის მოცემული სიმდიდრე და ჩვენი ხელით შექმნილი სარჩო საბადებელი, მაგრამ ისევ ალლაჰის წყალობიდან. ნუ გვეგონება, რომ ჩვენ

მართლა რაიმე შევქმენით, რომ არ ყოფილიყო სხვადასხვა ხილის, ჩვენით ვერ გავაჩენდით ჩირს, მურაბებს, ჯემებს, დასალევ ნვენებს და ა.შ. ნამდვილად საჭიროა უსაზღვრო მადლიერების გამოხატვა ალლაჰის წინაშე. ნუ ვიქნებით უმადურნი, ეს ჩვენთვის საზიანოა, რადგანაც უდიდესი ალლაჰი არავისზე არაა დამოკიდებული. ის - ყოვლადმდიდარია.

۳۶. سُبْحَانَ الَّذِي خَلَقَ الْأَزْوَاجَ كُلَّهَا مِمَّا تُنْبِتُ الْأَرْضُ
وَمِنْ أَنْفُسِهِمْ وَمِمَّا لَا يَعْلَمُونَ

დიდება იმას, რომელმაც გააჩინა ყველა ის წყვილი, რომელსაც მიწა იძლევა, და მათი სული, და რასაც არ უწყიან!...

ალლაჰი ყოვლადმდიდარია, შეუდარებელია, ის მუდამ სადიდებელია. თუ დავაკვირდებით სამყაროში ყველაფერი წყვილად არის გაჩენილი, ერთადერთი და უძლიერესი, მხოლოდ ალლაჰია, მას ვერაფერი შეედრება. მცენარეებშიც კი არსებობს მდედრი და მამრი, ასევე ატომშიც და ბევრ ისეთ რამეში, რაც ჩვენ არ ვიცით. დიდება მას.

۳۷. وَأَيُّ لُحْمٍ يُسَبَّحُ لَهُ مِنَ النَّهَارِ فَإِذَا هُمْ مُظْلِمُونَ

სასწაულია მათთვის ღამე; ავაცლით მას დღეს, უმალ ჩაიძირებიან წყვდიადში!

სასწაულია, ის, რომ დღე ღამეს ვერ დაენევა და ვერც გაასწრებს, ეს გამჩენის კანონზომიერებაა და მას ვერავინ ვერ შეცვლის. ამ აიათებით შეგვაგონებს ალლაჰი, რომ მის სიდიადეში ეჭვი არ შეგვეპაროს ან თუ ეჭვი გვაქვს, მთლიანად გავფანტოთ იგი. დროის მმართველი ალლაჰია.

۳۸. وَالشَّمْسُ تَجْرِي لِمُسْتَقَرٍّ لَهَا ذَلِكَ تَقْدِيرُ الْعَزِيزِ الْعَلِيمِ

და მზე დაცურავს თავის სამოძრაო გზაზე. სწორედ ესაა ძლევამოსილის, ბრძენის განგება!

მზე მასზე მიცემულ ბრძანებას (პროგრამას), ვერ შეცვლის. ნურავის ეგონება, რომ ეს ბუნებრივი მოვლენაა, ეს მხოლოდ ალლაჰის ბრძანებით ხდება.

ასე, რომ გამჩენმა სამყაროში არსებული ყველაფერი დააპროგრამა. მათ შორის ადამიანსაც მიღებული აქვს დავალება ალლაჰისაგან და შეფასება მოხდება ხარისხების მიხედვით, თუ ვინ როგორ შეასრულებს ამ დავალებას.

39-40.

وَالْقَمَرَ قَدَرْنَا مَنَازِلَ حَتَّىٰ عَادَ كَالْعُرْجُونِ الْقَدِيمِ ﴿۳۹﴾
لَا الشَّمْسُ يَنْبَغِي لَهَا أَنْ تُدْرِكَ الْقَمَرَ وَلَا اللَّيْلُ سَابِقُ النَّهَارِ
وَكُلٌّ فِي فَلَكٍ يَسْبَحُونَ ﴿۴۰﴾

და დავუდგინეთ მთვარეს ფაზები. სა-
ნამ იგი არ გახდება მოხრილი, პალმის ხის
ტოტსავით!

ვერც მზე დაენევა მთვარეს და ვერც
ღამე გაასწრებს დღეს. ყველა თავის სა-
მოძრაო გზაზე დაცურავს.

ვიცით ყველამ მთვარის ფაზების შე-
სახებ, იგი - სადაც მზე ჩადის იმ მხარეს
გამოჩნდება თავდაპირველად, შემდეგ
ნელნელა იზრდება და ივსება, 15 დღეში
მთლიანად სავსეა, შემდეგ ისევ ნელნელა
უბრუნდება თავდაპირველ მდგომარე-
ობას, პალმის მოხრილ ხის ტოტს დაემს-
გავსება. გამჩენმა მთვარე ცის კამარაზე
ჩვენთვის, როგორც კალენდარი ისე გა-
მოგვისახა. დღეებს და თვეებს მის მიხედ-
ვით განვსაზღვრავთ. მზესაც და მთვარე-
საც ალლაჰისაგან მიღებული პროგრამე-
ბი აქვთ და მას მიყვებიან, ისინი ერთმა-
ნეთს ხელს ვერ შეუშლიან და არა მარტო
მზეს და მთვარეს, გაჩენილ ყველაფერს
ასეთი პროგრამა აქვს. ჩვენ უნდა ვხე-
დავდეთ, რომ როგორ ასრულებენ ისინი
ალლაჰის ბრძანებებს და ჩვენც, ჩვენზე
მოცემული პროგრამა (ჩვენი რწმენა) კარ-
გად უნდა შევისწავლოთ და მის ირგვლივ
ვიტრიალოთ, თორემ თუ ჩვენი შექმნილი
პროგრამის მიხედვით ვიხელმძღვანე-
ლებთ, მხოლოდ ვნებებს შეუძლია დაგვა-
მარცხოს, ამიტომ ალლაჰისა და შუამავ-
ლის დავალებების მიხედვით გავაგრძე-
ლოთ ჩვენი ცხოვრება.

۴۱-۴۲. وَأَيُّ لُحْمٍ أَنَا حَمَلْنَا ذُرِّيَّتَهُمْ فِي الْفُلِكِ الْمَشْحُونِ



﴿٤١﴾ وَخَلَقْنَا لَهُمْ مِنْ مِثْلِهِ مَا يَرْكَبُونَ ﴿٤٢﴾ وَإِنْ نَشَأْ نُغْرِقْهُمْ فَلَا صَرِيحَ لَهُمْ وَلَا هُمْ يُنْقِذُونَ ﴿٤٣﴾ إِلَّا رَحْمَةً مِنَّا وَمَتَاعًا إِلَىٰ حِينٍ

და სასწაულია მათთვის ის, რომ ჩვენ გადავიყვანეთ მათი შთამომავლობა გადასებული ხომალდით!

და ჩვენ დავადგინეთ მსგავსი მისი, რაშიც სხდებიან!

და თუ ვინებებთ, დავახრჩობთ მათ. მაშინ მათთვის არ იქნება საშველად მომხმობი და არც უშველიან მათ,

გარდა ჩვენს მიერ წყალობად და დადგენილ ვადამდე სარგებლად (თუკი იქნება ჩვენი ნება).

გაიხსენეთ, როგორ გადავიყვანეთ ნუჰის ტომის ხალხი, ვინც იყო მორწმუნე, ეს თქვენთვის სასწაულია. გემის გარდა რამდენი სახეობა გავაჩინეთ, რაზეც სხდებით, ალლაჰმა დაგვიქვემდებარა ყველაფერი, რითაც ჩვენ გაგვიადვილდებოდა მგზავრობა, მაშინ გემზე მხოლოდ მორწმუნენი ავიდნენ. დღესაც გვჭირდება გემზე ასვლა, რასაც შუამავლის გემი ჰქვია, რომელიც ისლამს გვასწავლის და მივექანებით ყველანი ერთად საიქიო ცხოვრებისაკენ. მართალია ალლაჰმა წყალს უბრძანა რომ არ ჩაძიროს გემები, მაგრამ გემზე ყველა (არ - ან) ვერ ადის. ეს აიათები კი გვასწავლის, რომ ავიდეთ გემზე, რომელსაც ალლაჰის ბრძანებით შუამავალი მართავს. ამ გემს ისლამი ჰქვია. ისლამი კი, ალლაჰის წინაშე ამალღებუ-

ლი და ყველაზე ახლოს მყოფი რელიგიაა. ფეხი ფეხზე გადადებული, ალლაჰის წყალობის მომლოდინე ადამიანებს, თვალსა და ხელს შუა გაეპარებათ სიცოცხლე. არაფრის გაკეთებით ალლაჰის წყალობის ლოდინი, „მე გული სუფთა მაქვს“, ამ სიტყვების იმედით საიქიოს ვერ მოვიპოვებთ.

და თუ ვინებებთ, დავახრჩობთ მათ. მაშინ მათთვის არ იქნება საშველად მომხმობი და არც უშველიან მათ, ვისაც ჰგონია, რომ ამ ქვეყნად ტყუულურალოდ მოვიდნენ და არაფრის ვალდებულება არ გააჩნიათ, მათ უკვე ველარაფერი უშველით. სანამ დავუძღურდებით, მანამდე მოვასწროთ ყველაფერი უმჯობესია, თორემ შემდეგ გვიანი იქნება, ალლაჰმა დაგვიფაროს. ყველაფერი გამჩენი ალლაჰისაა და ძღვევამოსილებაც მას ეკუთვნის, დღევანდელი ტექნოლოგიები ბევრ რამეს უმკლავდება, მაგრამ არის ისეთი რაღაცები, რასაც მხოლოდ ალლაჰი შეაჩერებს, ცუნამი, ქარიშხალი, გვალვა და ა.შ. ამიტომ ადამიანებმა რა თქმა უნდა, უნდა განვითარდნენ ტექნოლოგიურად, მაგრამ ყველაზე მეტად უნდა ისწავლონ ის, რომ ეს ყველაფერი ალლაჰის წყალობის მიხედვითაა.

და ვის შეეხება ალლაჰის წყალობა? ვინც მოასწრებს და მოიპოვებს ხშირი ვედრების გაკეთებით - პატიებას. სწორი ფიქრი, სწორად დაგეგმვა გვჭირდება საკუთარი ცხოვრების, რადგანაც არ მოგვინოს შემდგომში ღრმა სინანული: ნეტავი ასე არ გამეკეთებინა, ნეტავი, ნეტავი... და ა.შ.

٤٥ . وَإِذَا قِيلَ لَهُمُ اتَّقُوا مَا بَيْنَ أَيْدِيكُمْ وَمَا خَلْفَكُمْ لَعَلَّكُمْ تُرْحَمُونَ

და აკი ეთქვათ მათ: „გეშინოდეთ იმის, რაც თქვენს წინაა და იმისიც, რაც თქვენს უკანაა, ეგების შეწყალებულ იქმნეთ!“

გადავხედოთ წარსულს, თუ რა გაგვიკეთებია, დავიანგარიშოთ კარგად სიკეთეც და სიავეც, ამის მიხედვით გამჩენს ვთხოვოთ პატიება ყველა სიავეზე. გა-

დავხედოთ, თუ რა გველოდება საიქიოში და დარჩენილი სიცოცხლე ყურანის მიხედვით დავაპროგრამოთ. სხვანაირად არ არსებობს არც გადარჩენა და არც ალლაჰისაგან წყალობის მიღება.

ეს აიათი გვასწავლის, რომ დავაკვირდეთ, თუ რა დაემართა ჩვენამდე ადამიანებს, რომლებიც ასცდნენ ალლაჰის გზას. იგავისაგან მაგალითი ავიღოთ:

„ერთ ლომს ძალიან მშვიერი მგელი შემოხვდება წინ. ლომი ეუბნება წამომყევი შენც როგორმე დაგანაყრებო. ცოტა სიარულის შემდეგ მათ ასევე ძალიან მშვიერი მელია შემოხვდებათ, მასაც შემოიერთებენ. სამნი არიან. ლომი მართლაც შეიპყრობს ნადირს და მგელს განაწილებას სთხოვს, მგელი მას ჩვეულებრივად სამ ნაწილად გაჰყოფს, ამაზე ლომი გაბრაზდება და ისეთს შემოჰკრავს მგელს, რომ სულს განუტყევებს. ახლა მელიას სთხოვს ნანადირევის განაწილებას. მელია 10 ნაწილად გაჰყოფს ნანადირევს, აქედან ერთს მიუახლოვდება ისევ ლომის ნებართვით, დანარჩენი შენიაო ეტყვის. რასაკვირველია, ლომს გაეცინება და იკითხავს, თუ სად ისწავლა ასეთი განაწილება. მელია უმაღვე უპასუხებს: ეს ჩემი წინამორბედი მგლის მაგალითზე ვისწავლეო.“

ადამიანებმა უნდა ვისწავლოთ, როგორც წინ ასევე უკან გახედვა და მაგალითების აღება მოვლენებიდან. ყველაფერს ბუნებრივ მოვლენას ვერ დავარქმევთ, უნდა შევძლოთ მოვლენების წაკითხვა, მოვლენების მმართველი უნდა გავიცნოთ. ის უდიდესი ალლაჰია, ის ერთადერთია.

٤٦-٤٧ . وَمَا تَأْتِيهِمْ مِنْ آيَةٍ مِنْ آيَاتِ رَبِّهِمْ إِلَّا كَانُوا عَنْهَا مُعْرِضِينَ ﴿٤٦﴾ وَإِذَا قِيلَ لَهُمْ أَنْفِقُوا مِمَّا رَزَقَكُمُ اللَّهُ قَالَ الَّذِينَ كَفَرُوا لِلَّذِينَ آمَنُوا أَنْطَعِمُكُمْ مَنْ لَوْ يَشَاءُ اللَّهُ أَنْطَعِمَهُ إِنْ أَنْتُمْ إِلَّا فِي ضَلَالٍ مُبِينٍ

და არ მოველინება არც ერთი აიათი, რომ არ შეიქცეონ პირი მისგან.

და როცა ეთქვათ: „გაიღეთ იქიდან, რაც გიბოძათ ალლაჰმა“, უთხრეს ურწმუნონმა მორწმუნენს: „განა გამოვკვებოთ



ის, რომელსაც დააპურებს ალლაჰი, თუკი იქნება ნება მისი? თქვენ მხოლოდ აშკარა გზააზნევაში ხართ“.

რა სამწუხაროა, რომ ადამიანები მაგალითებს არ ღებულობენ არც მომხდარი მოვლენებიდან და არც გარდმოვლენილი აიათებისგან. ისინი ყოველთვის მისგან პირს შეაბრუნებენ ხოლმე და ძალიან მალე ავიწყდებათ. და როცა მათ ეთქმებათ: „გაიღეთ იქიდან, რაც ალლაჰმა გიბოძათ“, ისინი გადიდგულებულნი იძახიან: ნუთუ ჩვენ უფრო მწყალობელნი ვართ ვიდრე ალლაჰი? ალლაჰმა არ ისურვა მათთვის რაიმეს მიცემა და ჩვენ რა ვალდებულნი ვართ ზექათი ან მსგავსი წყალობა რაიმე გადავიხადოთ და ისინი ვარჩინოთ. ალლაჰს, რომ სდომებოდა მათ ისედაც მისცემდა. ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რაც გაგვანია ჩვენი მოპოვებულია, ისინი ვერაფერს გაიღებენ, მაგრამ რომლებსაც სჯერათ, რომ რაც გააჩნიათ, ეს ალლაჰის წყალობაა, ისინი ძალიან ადვილად გაიღებენ იქიდან რაც მოიპოვა მათმა ხელებმა. ამიტომაც ისინი შუამავლებს და ყველა იმ ადამიანს ვინც მათ მოუწოდებს გაცემისაკენ, ეუბნებიან: „თქვენ მხოლოდ აშკარა გზააზნევაში ხართ“. სურა მათში უდიდესი ალლაჰი გვამცნობს, თუ როგორ ჰკრავს ურწმუნო ხელს ობოლს, რომელიც მასთან მიდის. ვერ გამცემი ადამიანი ეშმაკის ხელით ურწმუნოების მორევში ვარდება, ამას კი თვითონაც ვერ ხვდება და „ალლაჰმა არ ისურვა მათთვის რაიმეს მიცე-

მა“ , ამ სიტყვების გამეორებით სურთ გადარჩენა, მაგრამ ამაოდ.

٤٩-٤٨ . وَيَقُولُونَ مَتَى هَذَا الْوَعْدُ إِنْ كُنْتُمْ صَادِقِينَ
﴿٤٨﴾ مَا يَنْظُرُونَ إِلَّا صَيْحَةً وَاحِدَةً تَأْخُذُهُمْ وَهُمْ
يَخِصِّصُونَ

და ამბობენ: „თუკი სიმართლის მთქმელი ხართ, როდისღა დადგება ეს ალთქმა“?

ისინი არაფერს ელოდებიან, თუ არა ერთი საშინელი ხმისა, რომელიც კინკლაობაში გართულთ შეიპყრობს.

ამ შეკითხვას ურწმუნოები სხვადასხვა შუამავლებსაც უსვამდნენ, ჩვენს საყვარელ შუამავალსაც დაუსვეს. საუკუნეები გავიდა და ეს შეკითხვა ისევ ბრუნავს ურწმუნო ადამიანებში, დღესაც სწორედ ასეთები კითხულობენ, როდის დადგება ეს დრო? ჩვენ გვირჩევნია ამქვეყნად კარგად ვიყოთ, საიქიოში ალლაჰმა იცის რაც გველოდება, ალლაჰი გვაპატიებს, თუ არ გაცემა შეცდომად ჩაგვეთვლება. ისინი ასეთ კამათში გაღევენ დროს, უცებ მოესმებათ საშინელი ხმა და ველარაფერს ვერ მოასწრებენ (ისინი ამას ისედაც შეცდომად არ თვლიან). შუამავალი გვასწავლის, რომ ის დღე, არავინ არ იცის ისრაფილი როდის ჩაბერავს სურში, თქვენ იმ დღეს, ნუ დაელოდებით, თქვენ დაელოდეთ იმ დღეს, როცა თქვენი აღსასრული უნდა დადგეს, დაფიქრდით რამდენად მზად

ხართ ამ დღისათვის. ის დღე მოსალოდნელია ყველა მდგომარეობაში და ყოველთვის. არ არის აუცილებელი ამისათვის რაღაც ნაცნობი ავადმყოფობის მსაგავსი, ის შეიძლება მთაში, ბარში, სამუშაოზე, სკოლაში უნივერსიტეტში, ბაღში, სულაც შეიძლება დაბადებამდე მოხდეს. ამიტომ სანამ დრო გვაქვს, სანამ საშუალება გვაქვს, ალლაჰის აიათებს, შუამავლის ჰადისებს მოვუსმინოთ და ცხოვრება იმის მიხედვით წარვმართოთ.

٥٠ . فَلَا يَسْتَعْجِلُونَ تَوَصِيَةً وَلَا إِلَىٰ أَهْلِهِمْ يَرْجِعُونَ

მაშინ ისინი ვერ შეძლებენ ერთურთისადმი რჩევას, და ვერც თავიანთ ოჯახთან დაბრუნებას.

თუკი დავაგვიანეთ, ბოლოს გინდ ყველაფერი ზუსტად მივხვდეთ, უკვე აღარ გვექნება საშუალება, ვინმეს რაიმე რჩევა მივცეთ, უფრო მეტიც საკუთარ თავსაც ველარ გამოვადგებით. უდიდესი ალლაჰის წყალობა აქაც კარგად ჩანს, რაც ხვალ უნდა მოხდეს, მათ შესახებ ინფორმაციას დღესვე გვანოდებს აიათების საშუალებით, რადგანაც ადამიანს სათქმელი არ ჰქონდეს: „ღმერთო რომ მცოდნოდა სხვანაირად წარვმართავდი ჩემს ცხოვრებას“. რატომ არ გვაცნობე სამოთხის ან ჯოჯოხეთის შესახებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში...





ყურანის დამოკიდებულება სხვათა მიმართ

ყველა ადამიანი თანასწორია, რადგან ყველა ერთი დედისა და მამისგან (ადამი და ევა) გაჩნდა. ადამიანები თანასწორია უფლებებითა და მოვალეობებითაც. ყოვლისშემძლე ალლაჰმა შექმნა ხალხი ტომებად და ერებად, რომ გაიცნონ და დაეხმარონ ერთმანეთს. ყურანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ყველა რელიგიასთან და მათ წევრებთან კარგი ურთიერთობები ჩამოაყალიბა, ტოლერანტობის მაღალი დონის აღქმა გამოავლინა.

ყურანის ტოლერანტულმა პრაქტიკამ უზრუნველყო, მუსლიმებს დაეკავათ სრულიად პო-

ზიტიური ადგილი ებრაელების, ქრისტიანებისა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში. იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, რომლებიც აღიქმებიან უნივერსალურ რელიგიებად, უნდა ეცადონ, რომ სამყაროში ჩამოყალიბდეს მშვიდობა და წესრიგი, რაც ღვთაებრივ ნებასთან ჰარმონიაში იქნება.

მსოფლიო ისტორიის მანძილზე ადამიანები ცდილობდნენ ეცხოვრათ სხვადასხვა ენის, რელიგიისა და კულტურის მქონე ადამიანებთან ერთად. ისლამის კანონების თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული-



ბი იყვნენ უზრუნველყოთ თანაბარი შესაძლებლობები სხვადასხვა რელიგიის, კულტურისა და რასის წარმომადგენლებისთვის, რადგან ისლამი არ ისახავს მიზნად იმ საზოგადოებების კულტურისა და ენის განადგურებას, რომლებთანაც მას აქვს ურთიერთობა. ისლამი, ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების კანონიერად გარანტირებული პრინციპების მატარებელი რელიგიაა, რის მეშვეობითაც შეძლო შეექმნა ისეთი შესაძლებლობა, რომ მრავალ რელიგიას, სექტას, ტომსა და კულტურას მიეცათ ერთად ცხოვრების საშუალება. ყურანი უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის თავისუფალ ნებას, მიიღოს ეს რწმენა თუ არა, რადგანაც ყურანში ნაბრძანებია: “არ არსებობს ძალდატანება რელიგიაში”. უზენაეს ალლაჰს რომ სურდეს ისედაც ყველანი ირწმუნებოდნენ, მაგრამ მან მისცა ყველას თავისუფალი ნება, ერწმუნათ ან არ ერწმუნათ. მაგალითად ყურანში ამასთან დაკავშირებით შემდეგნაირად არის ნაბრძანები:

وَلَوْ شَاءَ رَبُّكَ لَجَعَلَ النَّاسَ أُمَّةً وَاحِدَةً وَلَا يَزَالُونَ مُخْتَلِفِينَ

“და რომ ენება ალლაჰს, ერთ თემად დაადგენდა ხალხს. თუმცა ისინი უთანხმოებას აგრძელებენ”. (სურა ჰუდი, 118)

ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰის მოციქულის მიმართ ყურანში გაფრთხილებას ვხვდებით. ყურანში ნაბრძანებია:

وَمَا أَكْثَرُ النَّاسِ وَلَوْ حَرَصْتَ بِمُؤْمِنِينَ

“ძალიანაც რომ გსურდეს შენ, ადამიანთა უმრავლესობა მაინც არ ირწმუნებენ.” (სურა იუსუფი)

وَلَوْ شَاءَ رَبُّكَ لَأَمَنَّ الْمَنَ فِي الْأَرْضِ كُلُّهُمْ جَمِيعًا أَفَأَنْتَ تُكْرَهُ النَّاسَ حَتَّىٰ يَكُونُوا مُؤْمِنِينَ

“შენს ღმერთს რომ ენება, უთუოდ ყველა ერთბაშად ირწმუნებდა, ვინც კი დედამინაზეა. მაშ, შენ აიძულე ხალხს, რათა იქმნენ მორწმუნენი?” (სურა იუნუსი, 99)

ყურანში განსხვავებული ადამიანების, კულტურის და ა. შ. შექმნის მიზანი **تَعَارَفَ** „თეარუფ“ ტერმინით არის განმარტებული, რაც ნიშნავს ერთმანეთის გაგებას, გაცნობასა და ერთმანეთისგან სწავლას. როგორც ტერმინი, აღნიშნავს ადამიანების, როგორც საზოგადოების, ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას და ურთიერთობას.

აიათში შემდეგნაირად არის ნაბრძანები:

يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنَّا خَلَقْنَاكُمْ مِنْ ذَكَرٍ وَأُنْثَىٰ وَجَعَلْنَاكُمْ شُعُوبًا وَقَبَائِلَ لِتَعَارَفُوا إِنَّ أَكْرَمَكُمْ عِنْدَ اللَّهِ أَتْقَاكُمْ إِنَّ اللَّهَ عَلِيمٌ خَبِيرٌ

“ჰეი, ადამიანო! შექველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. შექველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. შექვე-

ლად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!” (სურა ჰუჯურათი, 13)

ამ აიათის გზავნილი ითვალისწინებს, ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობას, კომუნიკაციასა და გაცნობას. თუმცა, „თეარუფ“ ამ აიათში არ აღნიშნავს ადამიანების უბრალოდ შეხვედრასა და ერთმანეთთან კომუნიკაციას, არამედ აღნიშნავს ურთიერთდახმარებას და ჯიბრს სიკეთის კეთებაში.

ის ფაქტი, რომ ადამიანები ერთი მამის და დედის შთამომავლები არიან და მათი ეთნიკური წარმომავლობა ღვთიური განგებით ვითარდება, ხელს უშლის უპირატესობის გამოავლინებას ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე. ეს ფაქტი, ფაქტობრივად, ხელს უშლის რასიზმის გავრცელებას, რაც საზოგადოებაში არსებული დაავადებაა. ისლამის თვალსაზრისით, არცერთ ერს ან საზოგადოებას არ შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს უპირატესობაზე წარმომავლობიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, ყურანში გათვალისწინებული „თეარუფ“-ის პრინციპი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ყველა ადამიანის უსაფრთხოებისა და სიმშვიდის უზრუნველსაყოფად დღევანდელი სოციალური კონფლიქტების წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც ამბობენ, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური წარმოშობისაა. აქედან გამომდინარე, ისლამის მიხედვით კაცობრიობის წარმოშობის ერთ დედ-მამაზე დაფუძნება და განსხვავებების „თეარუფ“-ის პრინციპებზე დაყრდნობით აღქმა, უზრუნველყოფს ხალხთა საყოველთაო ძმობას.

ზემოთ ხსენებული აიათებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ისლამის მიხედვით არ არსებობს დაბრკოლება სხვადასხვა რელიგიისა და რწმე-



ნის წარმომადგენლების შეხვედრაში, გაცნობასა და ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ანალოგიურად, ეს აიათები ცხადყოფს რწმენის სფეროში სხვადასხვა რელიგიებისა და მათი მიმდევრების მიღების აუცილებლობას.

ყურანი, აღიარებს არაისლამური რწმენის სისტემების არსებობას (მაგრამ არა ჭეშმარიტებას) რაც ჰუმანურ და ლოგიკურ პოლიტიკას ატარებს ამ მორწმუნეების მიმართ. ამასთან დაკავშირებით ნაბრძანებია:

لَكُمْ دِينُكُمْ وَلِيَ دِينِ

“თქვენი რჯული თქვენ, და ჩემი რჯული მე!” (სურა ქაფირუნ, 6)

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისლამი არ ითვალისწინებს ქადაგებას სხვების ჭეშმარიტ გზაზე მოსახმობად. ისლამი სიკეთით ქადაგებასთან ერთად, ადამიანებს მშვიდობიანად ცხოვრების გარანტიას აძლევს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ ირწმუნებენ. მაგალითისთვის ყურანში ნაბრძანებია:

ادْعُ إِلَى سَبِيلِ رَبِّكَ بِالْحُكْمِ وَالْمَوْعِظَةِ الْحَسَنَةِ
وَجَدِلْهُم بِالتِّي هِيَ أَحْسَنُ إِنَّ رَبَّكَ هُوَ أَعْلَمُ بِمَنْ
ضَلَّ عَنْ سَبِيلِهِ وَهُوَ أَعْلَمُ بِالْمُهْتَدِينَ



თავყვანისმცემლები ისლამისა და მუსლიმების დაუძინებელი მტრები იყვნენ, ალლაჰის ბრძანებიდან გამომდინარე მუსლიმები, მათ მიმართაც კი ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ. ყურანში ამასთან დაკავშირებით შემდეგნაირად არის ნაბრძანები:

وَإِنْ أَحَدٌ مِنَ الْمُشْرِكِينَ اسْتَجَارَكَ فَأَجِرْهُ حَتَّى يَسْمَعَ كَلِمَ اللَّهِ ثُمَّ ابْلِغْهُ مَأْمَنَةَ ذَلِكَ بِنُفْسِهِمْ قَوْمٌ لَا يَعْلَمُونَ

“და თუ რომელიმე ნარმართი თავშესაფარს გთხოვს, შეიფარე იგი, რათა მოისმინოს ალლაჰის სიტყვა. მერე კი უსაფრთხო ადგილას მიიყვანე. ეს იმიტომ, რომ ისინი უცოდინარი ხალხია.” (სურა თეგბე, 6)

“მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თავის გზას და უკეთ უწყის ქვეშარიტ გზაზე მყოფთ!” (სურა ნაჰლი, 125)

ყურანი უკრძალავს მუსლიმებს ამა თუ იმ მიზეზით შეურაცხყოფას უარყოფლების, მათ ღმერთებისა და კერპების. ყურანში ნაბრძანებია:

وَلَا تَسُبُّوا الَّذِينَ يَدْعُونَ مِنْ دُونِ اللَّهِ فَيَسُبُّوا اللَّهَ عَدْوًا بِغَيْرِ عِلْمٍ كَذَلِكَ زَيْنًا لِكُلِّ أُمَّةٍ عَمَلُهُمْ ثُمَّ إِلَىٰ رَبِّهِمْ مَرْجِعُهُمْ فَيُنَبِّئُهُمْ بِمَا كَانُوا يَعْمَلُونَ

“და არ გაუკიცხოთ, რომელთაც ისინი მოუხმობენ ალლაჰის გარდა, მერე მტრობით ზღვარს გადავლენ და უფიცობით ალლაჰს დააძაგებენ ეგენი. და ასე მოვუკაზმეთ ჩვენ ყოველ ერს თავისი საქმენი. მერე თავიანთ ღმერთთანაა მათი მიბრუნება. მაშინ აცნობებს მათ, რასაც ისინი სჩადიოდნენ.” (სურა ენ’ამ, 108)

ისლამის გავრცელების პირველ ხანებშიც კი, როდესაც მექქელი კერპ-

მიუხედავად იმისა, რომ ყურანი ალიარებს არაისლამური რწმენის სისტემების და მორწმუნეების არსებობას, ის მათ იძულებით ისლამისკენ არ მოუწოდებს. ყურანში ნაჩვენებია ამ რწმენის სისტემების ბათილობა, ისლამის სარწმუნოების პრინციპებთან მიმართებით. ყურანის ეს დამოკიდებულება მის ტოლერანტულობას არ ნაბილწნავს, რადგან, ყურანის მიხედვით, არ შეიძლება აიძულო ვინმე უარი თქვას რწმენაზე. ყურანის ეს კრიტიკული დამოკიდებულება მხოლოდ გაფრთხილებაა გზასაცდენილი მორწმუნეებისთვის, რომ დაადგნენ სწორ გზას.

ყურანის რელიგიებისადმი მიდგომის შესაბამისად, მისი შეხედულება ქრისტიანებზე, როგორც „ნიგნის ხალხზე“ უფრო განსაკუთრებულია. მიზეზი ის არის, რომ ყურანში ნახავთ შემდეგ აიათს, რომელიც ქრისტიანებზეა:

لَتَجِدَنَّ أَشَدَّ النَّاسِ عَدُوًّا لِلَّذِينَ ءَامَنُوا الْيَهُودَ وَالَّذِينَ
 أَشْرَكُوا وَلَتَجِدَنَّ أَقْرَبَهُمْ مَوَدَّةً لِلَّذِينَ ءَامَنُوا الَّذِينَ قَالُوا
 إِنَّا نَصْرَىٰ ذَٰلِكَ بَٰئٍ مِنْهُمْ قَسِيصِينَ وَرُهْبَانًا وَأَنَّهُمْ لَا
 يَسْتَكْبِرُونَ

“უეჭველად, სიძულვილში იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს, ყველაზე მკაცრთ შენ იუდეველებს და წარმართებს იხილავ. და სიყვარულში იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს, ყველაზე ახლობელთ შენ იმათ იხილავ, რომელნიც იტყვიან: „ჩვენ ვართ ქრისტიანნი“. ეს იმიტომ, რომ მღვდლები და ბერებია მათ შორის, და არ ამპარტავნობენ ისინი.” (სურა მაიდე, 82)

ისლამის გამოჩენის დღიდან ქრისტიანობა უდავოდ არის ერთ-ერთი რელიგიური ჯგუფი, რომელთანაც მუსლიმებს ყველაზე მეტი ურთიერთობა და სიახლოვე აქვთ. ეს ურთიერთობა, რომელიც დაიწყო მექას პერიოდში, გაგრძელდა მედინის პერიოდის ბოლომდე. ქრისტიანულ ქვეყნებში ებრაელი და მუსლიმი ხალხებისადმი დამოკიდებულებას თუ შევადარებთ მუსლიმურ თემებში არაისლამურ თემებთან ურთიერთობას ნათლად დავინახავთ, რომ მუსლიმური თემები უფრო ტოლერანტულები არიან. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია, რომ ყურანი და მისი მორწმუნეები იღებენ თავისუფალ ნებას, როგორც პრინციპს, რელიგიისკენ მოწოდებისას.

ყურანი ამკარად აძლევს შესაძლებლობას სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის მქონე ადამიანებს, წარმართონ თავიანთი ცხოვრება ღირსების ფარგლებში, ასევე მისგან განსხვავებულებს აძლევს თავისუფლებას აირჩიოს მათთვის სასურველი რელიგია და ამ რელიგიის სწავლებების მიხედვით წარმართოს ცხოვრება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი პრინციპები: რელიგიური, კულტურული და ეთნიკური კომუნიკაცია ისტორიის მანძილზე იყო ისლამური საზოგადოებების მთავარი მახასიათებელი და მუსლიმური საზოგადოებაც მზად იყო ამ ურთიერთობისთვის. აზროვნებისა და რწმენის თავისუფლება, რომელიც ისლამმა მისცა ყველა ადამიანს, ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე გამორჩეული თვისება, რომელიც ისლამმა მოიპოვა ისტორიის მანძილზე.

ეს პრინციპები დაფუძნებულია ყურანზე, ისლამის მკვლევართა შეხედულებებზე და წმინდა მოციქულის პრაქტიკებზე, რაც ყოველი მუსლიმის მიერ უნდა იქნას შესწავლილი და ამ ყველაფერზე დაყრდნობით, თითოეულმა მუსლიმმა უნდა წარმართოს მისი ცხოვრება!



ლოცვის კალენდარი

სადაფონდი

ანგარი 2022წ.	კვირის დღეები	ცისკარი	მზის ამოსვლა	შუადღის ლოცვა	სამსრობის ლოცვა	სადამოს ლოცვა	ბოლოს ლოცვა
01	კვირ	07:00	08:33	13:22	15:39	18:00	19:27
02	ორშ	07:00	08:33	13:22	15:40	18:01	19:28
03	სამშ	07:01	08:33	13:23	15:41	18:02	19:29
04	ოთხ	07:01	08:34	13:23	15:42	18:03	19:30
05	ხუთ	07:01	08:34	13:23	15:42	18:03	19:31
06	პარ	07:01	08:33	13:24	15:43	18:04	19:31
07	შაბ	07:01	08:33	13:24	15:44	18:05	19:32
08	კვირ	07:01	08:33	13:25	15:45	18:06	19:33
09	ორშ	07:01	08:33	13:25	15:46	18:07	19:34
10	სამშ	07:01	08:33	13:26	15:47	18:08	19:35
11	ოთხ	07:01	08:33	13:26	15:48	18:09	19:36
12	ხუთ	07:01	08:32	13:26	15:49	18:11	19:37
13	პარ	07:00	08:32	13:27	15:50	18:12	19:38
14	შაბ	07:00	08:32	13:27	15:51	18:13	19:39
15	კვირ	07:00	08:31	13:28	15:52	18:14	19:40
16	ორშ	07:00	08:31	13:28	15:53	18:15	19:41
17	სამშ	06:59	08:30	13:28	15:54	18:16	19:42
18	ოთხ	06:59	08:30	13:29	15:55	18:17	19:43
19	ხუთ	06:59	08:29	13:29	15:56	18:19	19:44
20	პარ	06:58	08:29	13:29	15:57	18:20	19:45
21	შაბ	06:58	08:28	13:30	15:58	18:21	19:46
22	კვირ	06:57	08:27	13:30	15:59	18:22	19:47
23	ორშ	06:57	08:27	13:30	16:00	18:23	19:48
24	სამშ	06:56	08:26	13:30	16:01	18:25	19:49
25	ოთხ	06:56	08:25	13:31	16:02	18:26	19:50
26	ხუთ	06:55	08:24	13:31	16:03	18:27	19:51
27	პარ	06:54	08:24	13:31	16:04	18:28	19:52
28	შაბ	06:54	08:23	13:31	16:05	18:30	19:53
29	კვირ	06:53	08:22	13:31	16:06	18:31	19:54
30	ორშ	06:52	08:21	13:32	16:08	18:32	19:55
31	სამ	06:52	08:20	13:32	16:09	18:33	19:57